დანართი A. გიორგი ტალახაძის რეზიუმე

რეზიუმე: გიორგი ტალახაძე

დაიბადა 1958 წლის 23 დეკემბერს, ქალაქ ბორჯომში.

1966-1976 წლებში სწავლობდა ბორჯომის №1 საშუალო სკოლაში და დაამთავრა ოქროს მედლით.

1976 წლიდან სწავლობდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში (დღევანდელი ბაუმანის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი), საკონსტრუქტორო-მექანიკური ფაკულტეტის ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მოწყობილობების სპეციალობაზე; 1982 წელს დაამთავრა ამწე-სატრანსპორტო მანქანების ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1982-1985 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის „საკსახსპეცტრანსი"-ს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტ „ტრანსავტომატიკა"-ში ინჟინერ-კონსტრუქტორად, სატრანსპორტო და სამგზავრო-სატრანსპორტო საბაგირო გზების კონსტრუირების მიმართულებით.

1985-1988 წლებში სწავლობდა კალინინის სახელობის ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (დღევანდელი სანქტ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ასპირანტურაში, ამწე-სატრანსპორტო მანქანების დინამიკის მიმართულებით.

1988 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ტვირთის ბაგირებზე სივრცულ საკიდებიანი ტიპის ხიდური ამწეების წარმადობის გაზრდა და გაანგარიშების მეთოდიკის გაუმჯობესება".

1988-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის „საკსახსპეცტრანსი"-ს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტ „ტრანსავტომატიკა"-ში უფროს ინჟინრად, სატრანსპორტო და სამგზავრო-სატრანსპორტო საბაგირო გზების დაპროექტებისა და მშენებლობის მიმართულებით.

1990-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის „საკსახსპეცტრანსი"-ს სახელმწიფო საწარმო „ინსპეცტრანსაგრო"-ს დირექტორად.

1999-2005 წლებში მუშაობდა სს „ბაგრატიონი 1882"-ში (ცქრიალა ღვინის წარმოება და ჩამოსხმა) წარმოების დირექტორად.

2005-2006 წლებში იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2006-2008 წლებში იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის მეშვიდე მოწვევის წევრი, ბორჯომის მაჟორიტარული ოლქიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი 1991, 1998, 2002, 2006 და 2014 წლების მოწვევებში.

2013 წლიდან არის კომპანია „ასპინძა პროდაქტი“-ს დირექტორის მრჩეველი.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

შვიდი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თავისუფლად ფლობს ქართულ და რუსულ ენებს.